


# საგზისკენი

საორტული გაზეთი ოთხშაბათი 9 ივლისი 2008 №156 (3380)

ფასი 50 თეთრი



## გაფი სულაბი ერთად დარბულ ხეზე

ძალიან უსიამოვნო ამბავი მოხდა გუშინ „ამერში“ და ეს მხოლოდ ერთი კონკრეტული კლუბის პრობლემა რა არის. ხოლო მოხდა ის, რომ სახელფასო დავალიანების გამო, ფეხბურთელებმა ვარჯიში იუარეს. ქართულ საკლუბო ფეხბურთში არსებულ ფინანსურ პრობლემებზე მსჯელობას ჩვენ რა თქმა უნდა, მივუბრუნდებით. სხვა თუ არაფერი, როდესაც მსგავსი

სიტუაცია საქართველოს ერთ-ერთ საუკეთესო კლუბში იქმნება, იოლი წარმოსადგენია, როგორი მასშტაბები გააჩნია ამ პრობლემას. თუმცა ამ პრობლემის, მისი მიზეზებისა და აღმოფხვრის საშუალებების პოვნა ანალიზს მოითხოვს და, როგორც ვთქვით, ამ თემას მივუბრუნდებით. დღეს კი მხოლოდ სინანული შეგვიძლია გამოვხატოთ მომხდარის გამო.



## ღეგანობა გერმანიაში

### ყენიას დებიუტი და კობიაშვილის დუბლი

გელზენკირხენის „შალკეშ“ პირველი სეზონისწინა ტესტ-მატი გამართა და გერმანიის ქვედალიგულ „ერენსვიკს“ 6:0 მოუგო. „შალკეს“ ძირითად გუნდში პირველად ითამაშა ერთბაშად ორმა ქართველმა — ლევან კობიაშვილმა და ლევან ყენიამ. დიახაც: 17 წლის ყენიას გუშინ დებიუტი ჰქონდა — მეორე ტაიმი დაჰყო მინდორზე და ამ 45 წუთში „შალკეშ“ ორი გოლი გაიტანა. რაც შეეხება კობის, ის პირველ ტაიმში იყო მინდორზე, მარცხენა მცველად ითამაშა და დუბლიც მიითვალა — „ხუმარების“ მეორე და მესამე გოლები მისი იყო. გასაზარია, რომ საქართველოს ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა ასე შედეგანად დაიწყო და ბევრი კრიტიკოსი გააჩუმა, რომლებიც „შალკეს“ ძირითადში მის ადგილს ვერ ხედავდნენ. მოკლედ, ექვსიდან ორი გოლი კობიაშვილისა იყო, ურუგვაელმა კარლოს გროსმიულერმა ჰეთ თრიქი შეასრულა, ერთიც ჯერალდ ასამოამ დაამატა.



გადარი კობიაშვილის ფოტო



# ვერ წარმოიდგენთ შოთა არველიას! ჰოლანდიელ იოჰან ველსიუსს საქართველოში დარჩენა უნდა

— „სიმურგთან“ მატჩში პირველი ტაიმის შემდეგ შეცვლა ითხოვეთ. ტრაგემა სერიოზულია?

— საშიში არაფერია, საკმაოდ ხისტი თამაში იყო და ფეხი მომხვდა კუნთში, თუმცა ახლა აღარ მტკიავს, 10 ივლისს ამავე „სიმურგთან“ ალბათ ვითამაშებ.

— საქართველოში როგორ აღმოჩნდით?

— ეს კობა ახალკაცის და ახლო წარსულში საქართველოს ნაკრების მცველის, მამუკა წერეთლის დამსახურებაა.

— თქვენ პირველი ჰოლანდიელი ფეხბურთელი ხართ, ვინც საქართველოში სათამაშოდ ჩამოვიდა...

— სასიამოვნოა. ვეცდები, „ოლიმპში“ დავრჩე და ქართველ გულშემატკივარს თავი მოვაწონო.

— რამდენიმე დღეა, „ოლიმპთან“ ერთად ხართ და ქართულ ფეხბურთზე რა ზოგადი შთაბეჭდილება შეგექმნათ?

— ქართველები ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობენ, რბილი მანერა აქვთ, მოკლე პასებს ანიჭებენ უპირატესობას. მეც ასეთი ფეხბურთი მომწონს.

— სანამ აქ ჩამოხვიდოდით, ქართულ ფეხბურთზე გსმენიათ რამე?

— როგორ არა, თბილისის „დინამო“ ყველამ იცის.

— რა თქმა უნდა, შოთა არველიაზეც გეცოდინება...

— თქვენ ვერ წარმოიდგენთ, როგორ უყვართ ჰოლანდიაში შოთა არველია! ის ბრწყინვალე ფეხბურთელი იყო — „აიაქსსა“ და „ალკმარში“ ძალიან კარგად ითამაშა. ის ნამდვილი ვარსკვლავია. მისი ძმა არჩილიც ვიცი, „ბრედამში“ თამაშობდა... გოგა გახოკიძის თამაშიც მახსოვს პსე-სა და „ტვენტეში“.

— უცხოეთში მოთამაშე ქართველებიდან კიდევ ვინ იცით?

— კახა კალაძე, ლევან კობიაშვილი, ზურაბ ხიზანიშვილი...


— ამ მოკლე ხანში ჰოლანდიურ და ქართულ ფეხბურთში საერთო რა დაინახეთ?

— ჰოლანდიელებიც და ქართველებიც ტექნიკურ ფეხბურთს ვანიჭებთ უპირატესობას.

— თბილისის დათვალიერება თუ მოასწართ?

— ჯერ ცოტა რამ ვნახე, ეროვნულ სტადიონზე ვიყავი და ძალიან მომეწონა...

ნუკრი ლოლაძე



მურაბ დოლაჯანიშვილის ფოტო

ახალი სეზონისთვის რუსთავის „ოლიმპი“ სერიოზულად ძლიერდება. რუსთაველმა გუნდმა თითქმის მთლიანად იცვალა სახე — რამდენიმე ქართველი ფეხბურთელიც შეიმატა და არც ლეგიონერებზე ამბობს უარს. მათი დარჩენა ჯერ გადაწყვეტილი არ არის, თუმცა დიდი შანსია, უცხოელებმა მომავალ სეზონში „ოლიმპში“ ითამაშონ.

„ოლიმპმა“ აზერბაიჯანულ „სიმურგს“ გუშინწინ „ფოლადზე“ უმასპინძლა და 2:1 მოუგო. მწვრთნელმა ხვიჩა ქასრაშვილმა სამი ლეგიონერი გამოსცადა — ჰოლანდიელი იოჰან ველსიუსი, უნგრელი ზოლტ სალკაი და ბრაზილიელი მენდემი. პირველი მატჩის კვალობაზე ამ ფეხბურთელებს ურიგოდ არ უთამაშიათ. ნამატჩევს ზორბა ჰოლანდიელ ველსიუსს ვავესაუბრეთ...

## ლოკომოტივი ურეკს და ახლებს გეგმავს

7 ივლისს თბილისის „ლოკომოტივმა“ ახალი სეზონისთვის მზადება დაიწყო. ლუქსემბურგულ „ეტცელასთან“ ინტერტოტოს თასის პირველივე ეტაპზე განცდილი კრახი კიდევ დიდხანს ემახსოვრება ქართული ფეხბურთის ქომაგს, თუმცა ცხოვრება გრძელდება და ამას მომავალში წარმატებული გამოსვლით უნდა უპასუხოს „ლოკომოტივმა“.

გიორგი კიკნაძე და ზაზა ზამთარაძე გუნდს დილომში, „ლოკომოტივის“ ბაზაზე ავარჯიშებენ. ლოკომოტიველები ორი დღე თბილისში იქნებიან,

10 ივლისს კი ურეკში წაელენ შეკრებაზე. გუნდი დატოვა ზვიად ჩხეტიანმა. ის აზერბაიჯანულ „სიმურგში“ ისინჯება. არის მატებაც — ბოლნისის „სიონიდან“ მეკარე გიგა იაშვილი მივიდა. ზამთარაძის თქმით, კლუბის პრეზიდენტი ლექსო თოფურია ახლახან დაბრუნდა უცხოეთიდან და უახლოეს დღეებში მასთან შეხვედრა ექნებათ და არ არის გამორიცხული, რამდენიმე ფეხბურთელი კიდევ შეიმატონ.

ნუკრი ლოლაძე

## შოთა თხილდისურია



ჰოლანდიური „ალკმარის“ ერთ-ერთი მწვრთნელი შოთა არველიაძე თბილისშია და სამწვრთნელო კურსებს გადის. შოთა არველიაძე რამდენიმე დღის წინ დაინიშნა ლუის ვან გაალის ასისტენტად, თუმცა თვითონვე გვი-

თხრა, ჯერ მატჩებისას სათადარიგოთა სკამზე ყოფნის უფლება არ მაქვსო.

ტყუპისცალს ივლისის ბოლოსვე შეეძლება AZ-ის სკამზე დაჯდომა — ახლა აიღებს B ლიცენზიას.


ილია ნანობაშვილი

## ორჰუსს დევდარიანი მოეწონა. კონტრაქტი?

დავით დევდარიანის დანიურ „ორჰუსში“ დარჩენა-არდარჩენის საკითხი ჯერ გადაუწყვეტელია. გეცოდინებათ, რუსთავის „ოლიმპის“ 20 წლის ნახევარმცველი ძმები არველიაძეების ფონდის მეშვეობით წავიდა „ორჰუსში“ გასინჯვაზე, ორი ტესტ-მატჩი ჩაატარა და მწვრთნელ ოვე პედერსენის მოწონებაც დაიმსახურა. თუმცა გუშინწინ ამ კლუბმა კიდევ ითამაშა ამხანაგური და დევდარიანი აღარ გამოჩნდა.

არჩილ არველიაძემ გვითხრა, ზუსტად არ ვიცი, დაიტოვებენ თუ არა დავითს, მხოლოდ ის ვიცი, რომ მოეწონათ და ამ დღეებში გადაწყდება ეს საკითხი.

დევდარიანი ჯერაც დანიამა და ვნახოთ, იმედია, ტრანსფერი წარმატებით დასრულდება.



ილია ნანობაშვილი

მურაბ დოლაჯანიშვილის ფოტო

## ვიტ ჯორჯიას და ზესტაფონის 9 საათი

ბაირამა „ზესტაფონისა“ და „ვიტ ჯორჯიას“ 17 ივლისს გასამართი საუფასოსო მატჩების დრო და მსაჯები. „დიორ ეტო“ — „ზესტაფონი“, ისევე, როგორც „ტრნავა“ — „ვიტ ჯორჯია“, ჩვენი დროით, საღამოს 9 საათზე დაიწყება. ფეროელთა შეხვედრას ბულგარელები იმსაჯებენ: არბიტრი — ანგელ ანგელოვი, ასისტენტები — ივან ვალჩევი, ვესელინ დობრიანოვი, მეოთხე მსაჯი — გეორგი იორდანოვი. უფას დელეგატი — ბარი ბრაიტი (ინგლისი).

ვიტელთა შეხვედრას კი ისლანდიელები გაუძღვებიან: არბიტრი — იოჰანეს ველგეისონი, ასისტენტები — სიგურდურ ოლი ტორდენსონი, გუნარ გუდმუნდსონი, მეოთხე მსაჯი — მაგნუს კრისტიანსონი. უფას დელეგატი — იეჰუდა ვილკი (ისრაელი).

ილია ნანობაშვილი

## ქართველი ეპრომსაჯები

ქართველი მსაჯები 31 ივლისს ევროთასების ორ შეხვედრას მოემსახურებიან. უფას თასზე სლოვენური „ლუბლიანა“ ჩერნოგორიულ „ზეტას“ უმასპინძლებს. ამ მატჩის არბიტრი გიორგი ვადაჭკორია იქნება, ასისტენტები — მამუკა ელიკაშვილი და ლევან მიქელაძე, მეოთხე მსაჯის მოვალეობას კი ლევან კვარაცხელია შეასრულებს.

უფას თასზევე ესტონური „ფლორასა“ და შედური „იურგორდენის“ შეხვედრას ლაშა სილაგავა მოემსახურება. ასისტენტები გურამ ჩიგოვიძე და ზურაბ ჯვარიძე იქნებიან, მეოთხე მსაჯი კი — დავით ხარიტონაშვილი.

ლუბა თალაგაძე

## დაპკვირვებლები დაგბიუსდა

5-6 ივლისს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში საქართველოს მე-20 ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი და პირველი ლიგების და თასის გათამაშების მატჩების მსაჯთა დაპკვირვებლების სემინარი ჩატარდა.

დაპკვირვებლებს გააცნეს მომავალი ჩემპიონატის ჩატარების რეგულაციები, ფიფას და უეფას მიერ მიღებული სიახლეები და ცვლილებები.

მათ ჩააბარეს თეორიული ტესტები და დაშვებულნი არიან ეროვნული ჩემპიონატისა და თასის მატჩებზე მსაჯთა დაპკვირვებლად.

ლუბა თალაგაძე



















# საბა გავაშელიშვილი: შანსი მოგვას და გამოვიყენებ

გასულ კვირაში საქართველოს ძიუდოსიტთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა 81 კილოგრამ წონით კატეგორიაში ნაკრების პირველ ნომრად საბა გავაშელიშვილი დაასახელა. ხაბარელს საჭოჭმანო არჩევანის გაკეთება მოუხდა საბასა და გიორგი ბაინდურაშვილს შორის. საქმე ისაა, რომ ამ ორი, მართლაც ნიჭიერი ფალავნიდან პეკინის საგზურის მფლობელი ახლახან თურქეთში გამართულ „ბოსფორის“ თასზე უნდა გარკვეულიყო, მაგრამ ტურნირზე ორივემ ერთნაირი შედეგი აჩვენა, მესამე ადგილი დაიკავა და ამიტომ ქართულ სამწვრთნელო შტაბს მოუხდა გადაწყვეტილების მიღება. ამჟამად ნაკრები ბორჯომში გადის შეკრებას. გავაშელიშვილს ვარჯიშებს შორის შესვენებისას დავუკავშირდით და საოლიმპიადო სამზადისზე გკითხეთ



შოთა ხაბარელი

— რა გრძნობა დაგეუფლა, როცა შოთა ხაბარელმა ნაკრების პირველ ნომრად დაგასახელა?  
 — უზომოდ გამიხარდა და მაშინვე ჩავიფიქრე, რომ ოლიმპიადაზე ჩემი მწვერთნელების იმედები უნდა გამემართლებინა. ვფიქრობ, დიდი შანსი მაქვს, ჩინეთში რომელიმე ხარისხის მედალი მოვიპოვო. ყველა ჩემს გულშემოტიკვარს ვპირდავებ, რომ თავს არ დაავხოვავ და მიზნის მისაღწევად საკუთარი შესაძლებლობების ზღვარზე გავივლი.  
 — ახლა, როცა პირველი ნომერი ხარ,

განსაკუთრებულ მომზადებას ხომ არ გადიხარ ოლიმპიადისთვის?  
 — განსაკუთრებულს და გამორჩეულს არაფერს ვაკეთებ. უბრალოდ, წლების განმავლობაში მეორე ნომრად ყოფნისას დიდი წინხის ქვეშ მიწევდა ჭიდაობა. ახლა სრულიად დამშვიდებული და კონცენტრირებული ვაკეთებ ჩემს საქმეს. ვფიქრობ, ეს ყველაფერი შედეგს გამოიღებს.  
 — და მაინც, როგორ გგონია, არჩევანი შენზე რატომ გააკეთეს?  
 — გიორგი ბაინდურაშვილმა შარშან მსო-

ფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე იჭიდავა. წლებადღეს ევროპის ჩემპიონატზეც გამოვიდა, მაგრამ ვერც ერთ ტურნირზე შედეგი ვერ აჩვენა. აქედან გამომდინარე, ხაბარელმა შანსი მომცა, რისთვისაც უდიდეს მადლობას ვუხვდი.  
 — ნაკრების შეკრება როგორ მიდის, ხომ არ ტრავმირებული ხარ?  
 — მიმიმე და მომქანცველი ვარჯიშები გვაქვს. ტრავმები კი, საბედნიეროდ, არავის აწუხებს.

ზურაბ მიგრიაშვილი

ლემსო მანუშაძე

## 95-ე გურ და ფრანსი. 5-27 ივლისი

# ველოშუბასხარი

**გვარნიანი** ამბები დატრიალდა ორშაბათს, სენტ მელოდან ნანტამდე გაჭიმულ 208 კილომეტრიან გზაზე. ეს ბოლო ბრეტანული ეტაპი იყო და უფრო ზუსტად თუ ვიქნებით, ნანტი სულაც არ გახლავთ ბრეტანი, მაგრამ გზის უდიდესი ნაწილი სწორედ ამ უძველეს ფრანგულ მიწაზე გადიოდა და თქვენის ნებართვით, ეტაპს ბრეტანულს ვუწოდებთ.

ისიც სათქმელია, რომ გუშინწინდელი ეტაპი გუშინდელს, ანუ შოლესში გასამართ წლებადღელი „ტურ დე ფრანსის“ პირველ ინდივიდუალურ რბოლას უსწრებდა და ფაქტი იყო, რომ ფავორიტები თავს დიდად არ მოიკლავდნენ. ანდა, რატომ უნდა მოეკლათ — სენტ მელოდან ნანტამდე ხომ, მცირე აღმართ-დაღმართებს თუ არ ჩავთვლით, გზა ვაკეზე გადიოდა და ყველანაირი ლოგიკით, ეტაპი სპრინტერული საქმის გარჩევია უნდა დასრულებულიყო.

არ გამოვიდა ასე, სპრინტერებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ და ამაში დამნაშავენი ოთხნი არიან — „ჯერმენ შიპოტლის“ (ყოფილი „სლიპსტრიმი“) ამერიკელი უილიამ ფრიჩკორნი, „ბარლევორდის“ იტალიელი პაოლო ლონგო ბორჯინი და ფრანგები „კოფიდიისის“ სამუელ დიუმოლინი და „აგრიტუბელის“ რომენ ფელუ, რომლებიც დაწყებისთანავე, უკვე მეორე კილომეტრზე გაეკცნენ პელეტონს და რომლებმაც, ყოველგვარი ლოგიკის საწინააღმდეგოდ, ბოლომდე გაუძლეს თავიანთ გიჟურ ტემპს.

მოქამული ბრეტანული ამინდი გაქცეულების წისკვილზე პირდაპირი გაგებით ასხამდა წყალს. წვიმა, თანაც ქარიც ქროდა და ასეთ ამინდში პელეტონი კარგახანს იკავებდა თავს კონტრქმედებისგან. ამასობაში წინ წასულთა უპირატესობამ 14 წუთს გადაამეტა და ფავორიტებიც აფუსფუსდნენ. პირველ რიგში, „კაის დეპარნის“ მრბოლები დაიქოქნენ. სხვა თუ არაფერი, ლიდერის ყვითელი მაისურით ალენხანდრო ვალვერდე იყო და ამ მაისურას დაცვა სჭირდებოდა.

პელეტონი მთელი ძალით ამუშავდა და გიჟურ ტემპში რამდენიმე ჯგუფად დაიყო. მოხდა ისე, რომ უფრო უკან მყოფ ჯგუფებში აღმოჩნდნენ დენის მენშოვი, რიკარდო რიკო და კრისტოფ მორო და შემდეგ ისინი ბევრს კი ეცადნენ, მაგრამ ვალვერდეს ჯგუფთან არსებული ჩამორჩენის აღმოფხვრა ვეღარ შეძლეს.

ამასობაში, ნანტამდე 36 კილომეტრით ადრე, მოწინავე ოთხეული მაგანთა საპროტესტო აქციამ შეაფერხა. პროტესტანტები თავიანთი სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას ითხოვდნენ, თუმცა ძნელად, რომ მათი ეს პრობლემები „ტურის“ მონაწილეებმა გადაჭრან. „ტურის“ დირექტორის კრისტინ პრუდომის ჩარევის შემდეგ გზა მაღლევი გაიხსნა და ოთხეულმაც ბოლომდე გაძლო. უკვე ფინიშის სიახლოვეს იტალიელი ჩამორჩა, კვარტეტი ტრიოდ იქცა და ამ სამეულის ბრძოლაში კი ეტაპი დაიუმონს


დარჩა, ხოლო ყვითელი მაისურა — ფელუს.

ვალვერდეს ჯგუფმა ორი წუთი და სამი წამი წააგო, მენშოვისამ — 2 და 41, ხოლო მორო, თითქმის ხუთი წუთით ჩამორჩა და ვეტერანი ფრანგის საჩემპიონო ოცნებასაც აქ დაესვა წერტილი.

ვალვერდემ ყვითელი მაისურა კი დაკარგა, მაგრამ ერთ-ერთი უმთავრესი კონკურენტი, კერძოდ კი მენშოვი, სამი ეტაპის ჯამში მთელი 45 წამით უკან მოიტოვა და ალბათ, ეს უფრო მნიშვნელოვანი იყო, მით უმეტეს, ინდივიდუალური რბოლის წინ.

გუშინდელი, ინდივიდუალური რბოლის ფავორიტად ამ სახეობაში მსოფლიოს ჩემპიონი, შვეიცარიელი ფაბიენ კანჩელარა ითვლებოდა, მაგრამ შოლეს მიდამოებში კანჩელარასაც შერცხვა და, თქვენ წარმოიდგინეთ, ალენხანდრო ვალვერდეც, რომელმაც ეტაპის მომგებ გერმანელთან, „გეროლშტაინერის“ წევრ შტეფან შუმახერთან წუთი და 27 წამი წააგო და ეს ნაკლებად სალაპარაკოა, თავის მთავარ კონკურენტს „ლოტოს“ ავსტრალიელ კედელ ევანსს წუთითა და 21 წამით ჩამორჩა.

შუმახერსა და ევანსს შორის კიმ კირხენი და დევიდ მილარი აღმოჩნდნენ და გენერალურ კლასიფიკაციაშიც, ყვითელმაისურაიანი შუმახერის უკან კირხენი, მილარი და ევანსი დგანან. ვალვერდე ოცდამესამეა და ლიდერს წუთითა და 34 წამით ჩამორჩება.



**IV ეტაპი. შოლესი. 29,5 კმ. ინდივიდუალური რბოლა**

1. შტეფან შუმახერი (გერმანია, „გეროლშტაინერი“)	35წთ 44,00წმ
2. კიმ კირხენი (ლუქსემბურგი, „კოლუმბია“)	+17წმ
3. დევიდ მილარი (ბრიტანეთი, „ჯერმენ შიპოტლი“)	+17
4. კედელ ევანსი (ავსტრალია, „ლოტო“)	+26
5. ფაბიენ კანჩელარა (შვეიცარია, CSC)	+32

**სამართო ჩათვლა**

1. შტეფან შუმახერი (გერმანია, „გეროლშტაინერი“)	14სთ 04წთ 41,00წმ
კიმ კირხენი (ლუქსემბურგი, „კოლუმბია“)	+12
3. დევიდ მილარი (ბრიტანეთი, „ჯერმენ შიპოტლი“)	+13
4. კედელ ევანსი (ავსტრალია, „ლოტო“)	+23
5. ფაბიენ კანჩელარა (შვეიცარია, CSC)	+35







რუბრიკას ნარმოვიდებით

Mobil 1

No 1 საავტომობილო ზეთი

ლუის ჰემილტონის ახალი რეკორდი

ლუის ჰემილტონმა ოცნება აისრულა - გასულ კვირას სილვერსტონის ლეგენდარულ ავტოდრომზე მშობლიური, დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზი მოიგო...



თავს გამრად ვგრძნობ. ისიც სათქმელია, რომ ჯერ ბოლომდე ვერც ვაცნობიერებ ამ გამარჯვების მნიშვნელობას...

ამასობაში, „მაკლარენ-მერსედესის“ ხელმძღვანელობა აღფრთოვანებას ვერ მალავს გასული სარბოლო უიქენდის შედეგების გამო...

„ლუისმა ბრწყინვალე როლი ჩაატარა. მეორე ადგილზე გასულ ნიკ ჰაიდფელდს ის წრეზე თითქმის წამს უგებდა...“

„ლუისმა ბრწყინვალე როლი ჩაატარა. მეორე ადგილზე გასულ ნიკ ჰაიდფელდს ის წრეზე თითქმის წამს უგებდა...“

და აი, წლეულს ჰემილტონმა მიზანს უწია და ეს ბრწყინვალე სტილში გააკეთა - კოკისპორულ წვიმაში მეთოხე სასტარტო პოზიციაზე მყოფი ეგრევე მეორეზე გადავიდა...

„ეს ყველაზე ლამაზი გამარჯვებაა, რაც კი ოდესმე მომიპოვებია და ამავედროულად, ერთ-ერთი ყველაზე რთულიც - განაცხადა ლუისმა...“

აირონ სენას მიერ ინგლისშივე, დონინგტონის ავტოდრომზე 1993 წელს მოგებული ევროპის დიდი პრიზი...

რამა სველ გზაზე პილოტირების წარმოუდგენელი კლასი აჩვენა. თავად ლუისი წინააღმდეგობა ასეთი შედეგების: „ასეთ ამინდში გამარჯვება წარმოუდგენელია, მაგრამ...“

პოშუბარი, რიგების უნდა დაიხინჯო



„იმედი მაქვს, რომ წლეულს ტიტული მაინც ჩვენ დაგვრჩება, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ სულელოურ შეცდომებს აღარ დაუშვებთ...“

ნდისთვის გაკეთილი უნდა იყოს სეზონის ნახევარი უკან დარჩა და ჩვენ კი ძალიან ბევრი შესაძლებლობა გავანიავეთ და გავუშვიტ ხელიდან...


ნდისთვის კომარული, დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზის შემდეგ თქვა. გასული სარბოლო უიქენდი მართლაც კომარული გამოდგა...

„შედეგებიდან გამომდინარე, გასული კვირა რაც შეიძლება მალე უნდა დავივიწყოთ - განაცხადა „ფერარი“ სპორტულმა დირექტორმა...“

„შედეგებიდან გამომდინარე, გასული კვირა რაც შეიძლება მალე უნდა დავივიწყოთ - განაცხადა „ფერარი“ სპორტულმა დირექტორმა...“

ველარ მივეციტე. გვერდა მანსი, რაიკონენს გამარჯვებისთვის ებრძოლა, მაგრამ პირველ პიტ-სტოპზე საბურავებთან დაკავშირებით მცდარი გადაწყვეტილება მივიღეთ და დავისაჯეთ...“

„შედეგებიდან გამომდინარე, გასული კვირა რაც შეიძლება მალე უნდა დავივიწყოთ - განაცხადა „ფერარი“ სპორტულმა დირექტორმა...“



რინელები რიტის ბუღეს რაკეტებით დაიწყენ

აპკინის ოლიამიადის გახსნამდე ზუსტად ერთი თვით ადრე ჩინელებმა მრავალწლიან სამზადისში უკანასკნელი შტრიხები გააკლეს და „ჩიტის ბუღედ“ წოდებული მთავარი ოლიმპიური სტადიონის სიანხლოვეს სარაკეტო დანადგარები დაამონტაჟეს...


„ხუნცი 7“-ად ანუ „წითელი ვარსკვლავი 7“-ად წოდებული ეს რაკეტები „ხმელეთი-ჰაერის“ ტიპისაა და 500 მეტრიდან 15 კილომეტრამდე მანძილზე შეუძლია სამიზნის განადგურება...

ხოლო როცა დასავლურმა საინფორმაციო საშუალებებმა ჩინელები ამ რაკეტების აღმართვისთვის გაკიცხეს, ოლიამიადის მასპინძლები ძალზე იოლად გაეპასუხნენ - „ათენის ოლიამიადის დროს ბერძნები იყენებდნენ ამერიკული „ხმელეთი-ჰაერის“ ტიპის „პატრიოტებს“...“



# ოლიმპიადის წინ

ჩინელი ბადმინტონის ვარსკვლავი ლინ დანი ზარობს, რადგან მძიმე ბრძოლაში დაუმარცხებია ინდოელი ანუ სრიდჰარი კუალა ლუმპურის მსოფლიოს ჩემპიონატზე. ლინ დანი მსოფლიოს საუკეთესო მობადმინტონედა აღიარებული და ჩინელები ფიქრობენ, რომ ის მათი მთავარი ოლიმპიური გმირი იქნება.



# ასალი ფული

ცოტაც და, ჩინეთის სახალხო ბანკი მიმოქცევაში გამოუშვებს ათ-იუანიან ქაღალდის ფულს, რომელიც, რა თქმა უნდა, ოლიმპიური სიმბოლიკით იქნება დამუშავებული. ფულს ეროვნული სტადიონი, ხალხში ჩიტის ბუდედ ცნობილი არენა ახატია. სწორედ ისაა ოლიმპიადის მთავარი მასპინძელი. ათი იუანი კი ორი ლარია.




იერიკელ მოპარაშუტეთა გუნდი დიდი ხალისით დაშვებულა ლოს ანჯელესის დოჯერის სტადიონის მინდორზე, ზედ საბეისბოლო თამაშის დაწყების წინ.

# დაეშვნენ

ამერიკელ მოპარაშუტეთა გუნდი დიდი ხალისით დაშვებულა ლოს ანჯელესის დოჯერის სტადიონის მინდორზე, ზედ საბეისბოლო თამაშის დაწყების წინ.

# კლირკო გზადან

ვლადიმერ კლიჩკოს ამ უქმეებზე ბრძოლა აქვს ჰამბურგში: ამერიკელ ტონი ტომპსონს ერთბაშად სამი ქამრისთვის უნდა ერკინოს. ამ ქამართაგან ორი არც ისე მაგარია, თუმცა...



# დაიღუპა

უბედურება დატრიალებულა. 27 წლის ავტოკატასტროფაში დაიღუპა სანდიეგოელი ფეხბურთელი ტერენს კეილი. ეს კი საარქივო ფოტოა, ოთხი წლის წინ გადაღებული. დაღუპული სპორტსმენი მუქმაისურიანია.

## სარბიელი

საორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბერიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, კარასკეპს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ზონცხვერია  
დირექტორი ბიორგი ოქროშაძე  
მთავარი რედაქტორი ბიორგი ლარჯანი  
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე  
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი  
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ კორეოლიანი  
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი პინაჩესლავ გასპაროვი  
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი,

ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ზომერიკი  
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი ბერიკაშვილი  
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრაიული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი  
ფოტორეპორტიორები: გურამ დოღენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე  
სტილისტები: ნათელა გიორგობანი, ლალი გოზალიშვილი  
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუნუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინჭლაძე

სარედაქციო მისამართი: 38-11-14, 877 54 55 00

### რედაქციის მისამართი:

თბილისი, ალექსანდრე ყაზვბის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.  
საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29  
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge  
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge